ეროვნული ბიბლიოთეკა


# სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:

| გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | | გაუგზავნელად: მან. |
|---|---|---|
| ერთის წლისა | — 7 მან. | — 6 |
| ნახევრის წლისა | — 4 — | — 3 — 50 კ. |
| სამის თვისა | — 2 მ. 50 კ. | — 2 — |

## პირველი წელიწადი

გამოდის სამშაბათობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისის „სასოფლო გაზეთის" რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, თ. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ", при типографіи Меликова и К-º.

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

№ 15. სამშაბათი. I. 11 ივნისს 1868 წ.


შინაარსი: ოფიციალური ნაწილი: — ტფილისის გუბერნატორის მიწერილობა უეზდის ნაჩალნიკთან. — არა ოფიციალური ნაწილი: სამეურნეო ნაწილი: რა ნაირათ შეიტყობა ნიადაგის სიკეთე, ან რა და რა ნაირია იხა. — რაჭიდგან კორრესპონდენცია. შინაური ქიმობა: ზაფრის ცხელება. — საოჯახო ნაწილი: ბატისა და იხვის ხორცის მომზადება და დამარილვა.

## ოფიციალური ნაწილი.

### ТИФЛИССКАГО ГРАЖДАНСКАГО ГУБЕРНАТОРА.

Циркулярное предписаніе 6 мая 1868 г.

*Уѣзднымъ Начальникамъ Тифлисской губерніи.*

Со введеніемъ въ Закавказскомъ краѣ судебныхъ уставовъ, 20 ноября 1864 г., считаю нужнымъ обратить вниманіе г. г. мѣстныхъ начальниковъ на слѣдущія указанія по исполненію ими лежащихъ на нихъ обязанностей:

Обязанности Сельскихъ Старшинъ, какъ агентовъ Полиціи въ своемъ раіонѣ по отношенію къ производству дознаній подраздѣляются на два рода, смотря потому, кому подсудно преступленіе, о которомъ производится дознаніе, т. е. Мировому ли Судьѣ, или Окружномъ Суду.

I. Въ первомъ случаѣ (ст. 19 Полож. о примѣн. Суд. Уст. въ Закав. краѣ): т. е. тогда, когда преступленіе принадлежитъ къ разряду тѣхъ, за которыя въ законахъ уголовныхъ (улож. и устав. о наказаніяхъ, налагаемыхъ Мировыми Судьями) налагается наказаніе, не соединенное съ лишеніемъ, или ограниченіемъ правъ и состоянія, Старш. а) извѣстясь о преступленіи или проступкѣ, подлежащемъ преслѣдованію по мимо жалобы частныхъ лицъ, сообщаетъ о томъ Мировому судьѣ, (ст. 49 Уст. уголов. Судопр.) б) въ этомъ сообщеніи Старш. долженъ по возможности указать когда и гдѣ преступленіе совершено, на кого падаетъ подозрѣніе, и какія на то есть доказательства, есть ли въ виду лице обвиняемое и свидѣтели, и гдѣ они живутъ, (ст. 50 Уст. Уголов. Судопр.) в) въ случаѣ, если Старш. о преступленіи извѣстится изъ источниковъ недостовѣрныхъ, и возникнетъ сомнѣніе въ томъ, дѣйствительно ли преступленіе совершено, то прежде сообщенія Мировому Судьѣ, Старш. удостовѣряется о происшествіи посредствомъ дознанія. Дознаніе это производится безъ всякихъ формальностей; преимущественно посредствомъ не гласныхъ наблюденій и словесныхъ расспросовъ; формальныхъ допросовъ ни съ обвиняемаго, ни со свидѣтелей Старш. не снимаетъ. Обо всемъ, усмотрѣнномъ при дознаніи Старшина производящій дознаніе, составляетъ актъ за своею подписью. Впрочемъ, если встрѣтится сомнѣніе въ томъ, что лица, заявившія что либо при дознаніи, предъ Мировымъ Судьею, откажутся отъ своихъ словъ, или если можно будетъ ожидать, что осмотрѣнные предметы, до прибытія Мироваго Судьи, измѣнятъ свой видъ, то расспросъ или осмотръ Старшина производитъ въ присутствіи стороннихъ лицъ, о чемъ и отмѣчаетъ въ актѣ. Актъ дознанія препровождается къ Мировому Судьѣ. г., Такъ какъ дознанія производятся безъ особыхъ формальностей, и только о существенныхъ обстоятельствахъ, то они должны производиться быстро и безъ всякаго отлагательства. т. е. Мировой Судья, во всякомъ случаѣ, долженъ быть извѣщенъ о преступленіи не позже какъ на другія сутки послѣ того, какъ до Старш. дойдетъ свѣдѣніе о преступленіи. Въ случаѣ же явной невозможности произвести дознаніе въ теченіи сутокъ, Старш. не останавливаясь въ сообщеніи Мировому Судьѣ тѣхъ свѣдѣній, которыя ей самой извѣстны, произведенное за тѣмъ дознаніе сообщаетъ Мировому Судьѣ о преступленіи, Старш. задерживаетъ обвиняемаго и отсылаетъ его къ Судьѣ только въ случаяхъ точно опредѣленныхъ въ 51 ст. Уст. Уголов. Судопр. (во всѣхъ же другихъ случаяхъ обвиняемый оставляется на свободѣ); е., сообщеніемъ Мировому Судьѣ о преступленіи, а въ извѣстныхъ случаяхъ и отсылкою къ нему акта дознанія обязанности Старш. не прекращаются; если виновный не обнаруженъ, то Старш. и послѣ сообщенія Мировому Судьѣ должна принимать мѣры къ раскрытію виновныхъ; мѣры эти заключаются единственно въ не гласномъ наблюденіи, развѣдываніи и словесныхъ рас

ეროვნული ბიბლიოთეკა

просахъ; узнавъ что либо, Старш. о томъ немедленно сообщаетъ Мировому Судьѣ; ж., Мировой Судья, получивъ сообщеніе Старш. обязанъ назначить время разбора дѣла, и о томъ сообщить Старш. (ст. 63 уст. Уголов. Судопр.) з., Старш. имѣетъ право (ст. 20 Положен. о примѣненіи Суд. Устав. къ Закав. краю) прислать или повѣреннаго, если она признаетъ это нужнымъ, или слѣдуетъ особое приглашеніе о томъ Мироваго Судьи. к., При разборѣ дѣла лице, присланное отъ Старш. имѣетъ право предлагать свидѣтелямъ вопросы (ст. 100 Уст. Уголов. Судопр.) и сообщать Мировому Судьѣ свои соображенія, равно возражать противной сторонѣ (ст. 119 Уст. Уголов. Судопр.) л., Рѣшеніе Мироваго Судьи объявляется лицу, присланному полиціею къ разбору дѣла. м., Если Старш. недовольна рѣшеніемъ Мироваго Судьи, то заявивъ о томъ Судьѣ, и не пропуская двухнедѣльнаго срока со дня объявленія рѣшенія, можетъ представить о томъ Прокурору Окружнаго суда, для перенесенія дѣла въ Окружный Судъ (ст. 146 Уст. Уголов.) Въ представленіи Старш. долженъ указать и основанія почему считаетъ не правильнымъ рѣшеніе Судьи.

---

## უ. ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორის მიწერილობა.

### უ. ტფილისის გუბერნიის უეზდის ნაჩალნიკებთან.

რადგან 1864 წლის 20 ნოემბრის სამოსამართლო წესდებანი შემოვიდნენ ხმარებაში კავკასიის აქეთ მხარეში; ამისათვის საჭიროდ ვრაცხავ მივაქციო უუ. ადგილობრივ მოხელეთ ყურადღება შემდეგ ჩვენებაზედ, მათი ვალდებულების აღსასრულებლად.

მოვალეობა სოფლის მოხელეებისა, როგორც პოლიციის აგენტებისა თავიანთ სამოხელოში, ცნობების მოკრების შესახებ განიყოფებიან ორ ნაწილად, იმის მიხედვით, თუ ვის ექვემდებარება დანაშაულობა, რომელზედაც ცნობებსა ჰკრებენ: მომრიგებელ მოსამართლეს (მიროვოი სუდიას) თუ ოლქის სასამართლოს (ოკრუჟნოი სუდს).

1. პირველ შემთხვევაში, (დებ. 19 მუხ. სამოსამარ. წესდ. კავკას. აქ. მხრ. შეფარდ.) ესე იგი თუ დანაშაულობა იმ გვარია, რომლისთვისაც სასისხლო კანონებისა მებრ სიმართლისა და ღირსების ჩამორთმევით არ დაისჯება დამნაშავე, არამედ სხვა უმცირესი სასჯელით, მაშინ სოფლის მოხელეებმა, როგორც თავიანთ სამოხელოში პოლიციის აგენტებმა: ა) შეიტყობენ რა დანაშაულობას ან კანონის .გარდამავალ მოქმედებას, რომელიც თუ გინდ არავინ იჩივლოს იმაზედ, მაინც დევნის ღირსი არის, უნდა გააგებინონ ეს მომრიგებელ მოსამართლეს. (სასისხლ. სამართ. წესდ. 49 მუხლ.) ბ) ამასთან სოფლის მოხელეებმა ისიც უნდა აჩვენონ, როდის და რა ალაგას მოუხდენიათ დანაშაულობა, ვინ არის ეჭვს ქვეშ, და რა დამტკიცებაები აქვსთ ამაზედ, იქ არიან თუ არა ბრალეულები და მოწმები და სადა სცხოვრებენ. (სასისხ. სამარ. წესდ. 50 მრხლ.) გ) თუ ვინიცობაა მოხეებმა (როგორც პოლიციის აგენტებმა) საეჭვო წყაროებიდამ გაიგონ დანაშაულობაზედ და თუ დანაშაულობის მოხდენაზედ ეჭვი ჰქონდესთ, მაშინ მომრიგებელი მოსამართლის შეტყობინებამდის, იმათ ნამდვილი ცნობები უნდა მოკრიბონ. ეს ცნობები ისე უნდა შეიტყონ, რომ გამოაშკარაებით და სახალხოდ არც ჰკითხონ ვისმე და არც უთვალთვალონ; ფორმალური კითხვა მოწმებისა და დამნაშავესი მოხელეებს არ შეუძლიან. ცნობების მოკრების დროს რასაც გაიგებს მოხელე, უნდა შეადგინოს იმაზედ აქტი და წარუდგინოს მომრიგებელ მოსამართლეს. მაგრამ თუ ის პირები საეჭვონი იყვნენ, რომელნიც ცნობებს აძლევენ დანაშაულობაზედ, ესე იგი თუ მომრიგებელ მოსამართლესთან გადასთქვამენ იმას, რასაც მოხელეებს აჩვენებენ, ან თუ მოსალოდნი იყოს, რომ დანაშაულობამ სახე იცვალოს—მომრიგებელი მოსამართლის მოსვლამდის, ამისთვის გამოკითხვა და განხილვა მოხელეებმა უცხო პირების დასწრობით უნდა მოახდინონ და ეს მოიხსენონ აქტში, დასწრებული პირების აღნიშვნით. ცნობების აქტი უნდა წარუდგინონ მომრიგებელ მოსამართლეს. დ), მოხელეებმა მარტო ისეთი ცნობები უნდა მოკრიბონ, რომელნიც უფრო კარგა აცხადებენ დანაშაულობას, ამასთან სწრაფად და დაუყოვნებლად, ასე რომ მომრიგებელ მოსამართლეს შეატყობინონ მოხელეებმა თითონ რომ გაიგებენ—იმის მეორე დღეს. თუ ვინიცობაა ერთ დღე ღამეში არ შეიძლებოდეს დანაშაულობაზედ ცნობების მოკრება, მაშინ მოხელეებმა ის ცნობები უნდა შეატყობინონ მომრიგებელ მოსამართლეს, რაც ერთ დღე ღამეს გაუგიათ დანაშაულობაზედ, ხოლო სრული ცნობები შემდეგ უნდა მოკრიბონ და პირველი ცნობის დასამატებლად წარუდგინონ მომრიგებელ მოსამართლეს. ე) მომრიგებელ მოსამართლეს რომ ატყობინებდნენ დანაშაულობაზედ, იმავე დროს მოხელეებმა უნდა წარუდგინონ შეპყრობილი დამნაშავე, მაგრამ დიმნაშავის შეპყრობაში და მომრიგებელ მოსამართლისადმი წარდგენაში უნდა ხელმძღვანელად იქონიონ: სასისხლო სამართლის წესდება 5 მუხლი (გარნა სხვა შემთხვევაში კი დამნაშავის შეპყრობა არ შეიძლება). ვ) მომრიგებელ მოსააართლეს რაკი აცნობებენ მოხელეები დანაშაულობასა და ზოგიერთს შემთხვევაში ცნობაებსაც გაგზავნიან, ამითი მოხელეების ვალდებულება არ გათავდება; თუ დამნაშავე არ გამოჩნდა, მოხელეები მომრიგებელ მოსამართლეს აცნობებენ და უნდა ეცადნენ დამნაშავის პოვნასა; ეს ცდა მარტო იმით უნდა აასრულონ, რომ საიდუმლოთ თვალ ყური ადევნონ და მოიკითხონ; რაკი მოხელეები შეიტყობენ რასმე, მაშინვე მომრიგებელ მოსამართლეს აცნობებენ; ზ) მოხელეებისაგან ცნობის მიღების შემდეგ მომრიგებელ მოსამართლეს ვალი აქვს საქმის გარჩევის დრო დანიშნოს და მოხელეებს აცნობოს; ჱ) მოხელეებს ნება აქვთ, თუ საჭიროთ დაინახეს ან ვექილი გაგზავნონ, ან საკუთარი მიწვევა უნდა მოხდეს მომრიგებელ მოსამართლისაგან; თ) საქმის გარჩევის დროს მოხელეებისაგან გამოგზავნილ ვექილს ნება აქვს მოწმებს ჰკითხოს, აცნობოს მომრიგებელ მოსანართლეს თავისი ჰაზრი და აგრეთვე მოწინააღმდეგე მხარეს ებაასოს. ი) მომრიგებელ მოსამართლის საქმის გადაწყვეტილება გამოეცხადება ვექილს. კ) თუ მომრიგებელი მოსამართლის გადაწყვეტილებაზედ მოხელეები კმაყოფილნი არ დარჩნენ, ეს უნდა გამოუცხადონ მოსამართლესა და გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ ორ კვირის ვადაზედ უნდა წარადგინონ თავიანთი უკმაყოფილება ოლქის სასამართლოს პროკურორთანა, რომ სიქმე ოლქის სასამართლოში გადიტანონ. წარდგინებასთან მოხელეებმა უნდა მოიხსენონ რა საფუძვლით არიან უკმაყოფილონი მოსამართლის გადაწყვეტილებაზე.

(შემდეგი იქნება).

## არა ოფიციალური ნაწილი.

## სამეურნეო ნაწილი.

### რა ნაირად შეიტყობა ნიადაგის სიკეთე, ან რა და რა ნაირია მიწა.

(დასასრული).

5. *კირიანი ნიადაგი.* ცარიელ კირზე, აგრეთვე ცარიელ თიხაზედა და ცარიელ ქვიშაზედ არა მოსავლის დათესვა არ შეიძლება; მაგრამ, თუ ნიადაგში თიხასა და ქვიშას კირიც ურევია, მაშინ ის ნიადაგი ნაყოფიერი იქნება. კირიან ნიადაგში ას ნაწილ მიწაში ოცი ნაწილი კირი არის. როდესაც ხმელია ან ცოტათი სველი, მაშინ არის ადვილი სახნავი და საფარცხი და თუ ძალიან სველია, მაშინ ძნელი სახნავიც არის და ბელტ-ბელტადაც რჩება ნახნავზედ; მაგრამ ეს კი არის, რომ ის ბელტები მალე იფშვნება, ამის გამო სიძნელის გარდა სხვა უხერხულობა არა იცის რა ამ ნიადაგის სველ ამინდში მოხვნამ. კირიანი ნიადაგი ქვიშიან ნიადაგზედ დიდხანს ინახავს სისველეს და თიხიანზედ კი ცოტახანს; მზისაგან ძალიან ცხელდება და სითბოც დიდხანს ინახება შიგ. ამის გამო კირიან ნიადაგზედ სასუქი მალე იწვის და ჰკარგავს ძალას, ამ მიზეზით ამ ნიადაგს თუმცა ერთად ბევრი სასუქის დაყრა არა სჭირდება, მაგრამ მალ-მალ ცოტცოტას დაყრა კი კარგი იქნება; მსუქანი ძროხის სასუქი ყველაზედ უფრო არგებს იმას. კირიან ნიადაგზედა და აგრეთვე ყველა ნიადაგზე, რომელშიაც კირი ურევია,—ბალახები და პური კარგა მოდის. კირიან ნიადაგზე ყველაზე უკეთესად მოდის: *ცერცვი*, *ოსპი*, *ცულისპირა*, *ბაკლა*, *იონჯა*, აგრეთვე *ხორბალი*, *აჭარა* და *ქერი*; *იფნი* და *წიფელაც* კარგად იზრდება. კირიან ნიადაგზედ *ვაზიც* კარგი მოდის. თუ ნიადაგში კირი და ქვიშა ბევრია, ამისთანა ნიადაგი არ ივარგებს; იმისთანა ნიადაგის გასაუკეთესებლად უნდა დააყარონ თიხა ან მჭადაქვა, ან მსუქანი უბზეო სასუქი. ცხელ ქვეყნებში, გაშლილ მაღლობებზედ, სადაც გვალვა ხშირად იცის, კირიანი ნიადაგი ნაყოფიერი არარის.

6 *მჭადა-ქვიანი ნიადაგი* ისეთი ნიდაგია, რომელშიაც ქვიშა და თიხა ერთ ზომაზედ არის გარეული, ხოლო კირი კი კირიან ნიადაგზე უფრო ცოტა ურევია, სახელდობ: ას ნაწილ მიწაში ხუთიდგან ოც ნაწილამდე. ამას გარდა მჭადა-ქვიან ნიადაგში კირი ისე მტკიცედ (ძალიან) არის გადარეული თიხასთან, რომ, არ შეიძლება კაცმა თვალით შეატყოს: ურევია თუ არა კირი; მაგრამ კირიან ნიადაგში კი კირი თიხაში ხვიჭირისავით ურევია.—მჭადა ქვიანი ნიადაგის ფერი სხვა და სხვა ნაირია: მოთეთრო, ნაცრის ფერი, წაბლის ფერი, მოწითლო და მოყვითლო. ამ ნიადაგის შეტყობა შემდეგი ნიშნებით შეიძლება: 1) მიწაზედ რომ წყალი დაასხა, თუ მჭადა-ქვიანია, მაშინვე შეიწოვს წყალს; 2) მოხნული ბელტები მალე იფშვნება ნახნავზე; 3) ცხარე ძმარი რომ დაასხა—შიშინს იწყებს. მოხვნის დროს ეს ნიადაგი თიხიან ნიადაგზე ადვილად იხვნება, თუმცა კი სახნისსა და საკვეთს ცოტათი ეკვრება ხოლმე. გვალვებისგან ეს ნიადაგი ძალიან არა ხმება ამასაც ისეთი ხასიათი აქვს, როგორც ქვიშა თიხიან ნიადაგს: სინოტიეს დიდხანს იჭერს ხოლმე; ეს ნიადაგი ძალიან ნაყოფიერია და ყველა ნიადაგზე ცოტა სასუქის დაყრა უნდება. თუ კარგი მდებიარობა აქვს და თბილ ჰავაშია, მაშინ ამ ნიადაგზე ჩინებულად მოდის: *ყურძენი*, აგრეთვე: *იონჯა* ყველა გვარი საქონლის *საძოვარი ბალახი* და *ცერცვიც* (*მუხუდო*). ხეებისაგანი ამ ნიადაგზე კირგა იზრდება: *წიფელა*, *მუხა*, *თელა*, *ცაცხვი*, და *ხეხილეული*: *ვირის-ტერფა* და *წალიკა* თუ ველურად (გარეულად) იზდება მინდორზედ—ის უთუოდ მჭადა-ქვიანი ნიადაგი იქნება. მჭადა ქვიანი ნიადაგი სხვა და სხვა სახისა 1) უბრალო (ჩვეულებრივი) მიწის მსგავსი; 2) ქვასავით მაგარი ბელტების სახისა; 3) მკვრივი (მაგარი) ქერქისავით გადაკრული მიწაზედ და 4) წებოიანი მიწის მსგავსი, თუ ამას ბევრი წვრილი ლოკოკინა ურევია. მჭადა-ქვა ძალიან სასარგებლო მიწაა, ასე რომ იმას ბევრგან სხვა ნიადაგის გასაკეთებლად ხმარობენ ხოლმე; მაგალითად თიხიან ნიადაგს რომ მჭადა-ქვიანი მიწა დააყარონ, წებოს (ძარღვს) შეუმცირებს და ქვიშიან ნიადაგს რომ დააყარონ—იმას კი ძარღვს (წებოს) უმატებს. აგრეთვე მჟავე ნიადაგზედაც, სადაც მჟავე ბალახები იზრდებიან, მჭადა-ქვა რომ დააყარონ, სიმჟავეს აცლის მიწას და ამ სიმჟავის გამოცლით იმ ნიადაგზედ ამოსული შამბ-ნარი ბალახები ველარ ხეირობენ. ერთი სიტყვით სადაც ამისთანა ნიადაგი არის, იქ საჭირო არ არის მხვნელ მთესველისთვის მომეტებული ჯაფა, მხოლოდ საჭიროა რიგიანად მოხნას; სასუქის დაყრაც ეგრე რიგად არ დასჭირდება და ყოველთვის კარგ მოსავალს მისცემს მიწის მუშას.

7 *შავი მიწის ნიადაგი* შესდგება სხვა და სხვა მცენარისა და წვრილი ცხოველების ნაწილებისაგან; ეს ნაწილები (ფესვები, ფოთლები, ღერები, ჭიაღუა და სხვა წვრილი ცხოველები) დროს-განმავალობით დამპალან, დამიწებულან და ნაშალ, რბილ, შავ, მუქი ფერის მიწად ქცეულან. ჩვენში ძალიან ბევრგან არის შავი მიწა. ერთი მუჭა შავი მიწა რომ ავიღოთ და წყალში გავხსნათ—წყალი დარიჩინის ფერს დაიჭერს; ეს დარიჩინის ფერი სითხე სინოტიესა და წვიმებისგანა ჩნდება შავ მიწიან ნიადაგში და შეადგენს მცენარეებისათვის თვით საუკეთესო საზრდოს. შავი მიწიანი ნიადაგი მიწის პატიობისაგანაც წარმოსდგება; ეს პატიობა არა თუ მარტო შავ მიწას უმატებს ნიადაგში, არამედ აუკეთესებს კიდეც მიწას: თიხიან ნიადაგს არბილებს, ამჩატებს და მომეტებულ ძარღვსა და წებოს უკარგავს, ხოლო ქვიშიანს კი ძარღვს აძლევს და აღონიერებს. ას ნაწილ შავ მიწიან მიწაში საკუთრად შავი მიწა ოცი ნაწილი ან მეტი იქნება. შავი მიწა ბევრ წყალს იწოვს და სინოტიესაც დიდხანს ინახავს; აგრეთვე ჰაერიდგანაც ძალიან იკრებს თავისში სინოტიეს. რადგან შავი მიწიანი ნიადაგი ყოველთვის მუქი ფერისაა, ამისთვის მზისაგანაც ძალიან ცხელდება, და ამ მიწით (შავით) რომ თიხიანი ნიადავი აპატიოს, მაშინ ეს თიხიანი ნიადაგი უფრო გათბება. ძალიან ღონიერ შავ მიწაზედ დათესილი ყანა ნამჯას უფრო ბევრს აძლევს მარცვალზედ, ეს ამისთვის, რომ მცენარის საზრდოდ მარტო შავი მიწა არა კმარობს; ამას გარდა საჭიროა კირიც, თიხაც, ქვიშაც და კიდევ სხვა მიწის ნაწილები. თუ შავი მიწიანი ნიადაგი დაბლობ ალაგზედ მდებარებს, ასე რომ წყალი ადვილად გუბდება ზედ, მაშინ იმაზედ მჟავე ბახალები იზრდება კარგა, და ამისთანა შავ მიწას *მჟავე შავმიწას* ეძახიან; ამ ნიადაგს ნაყოფიერება არ ექნება, ვიდრე არ დააშრობენ და სიმჟავეს არ გამოაცლიან. შავი მიწა მძიმე სამუშაო არ არის, არც მიწის იარაღს ეკვრება ზედ. ძალიან პატიობა არ უნდა, სჯობია ისევ მალ-მალ აპატიონ და ცოტ-ცოტათი. შავი მიწისთვის სასუქით პატიობა საჭირო არ არის; იმას

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჴირს პატიობა: კირით, ნაცრით და სხვა მიწის გვარი ნივთიერებით. თუ კარგა შეიმუშავეს, შეიძლება იმ ნიადაგზე ისეთი მცენარეები მოიყვანონ, რომელთაც ძალიან ღონიერი მიწა უნდათ. ზრდა ხორბლისა, სელი ჭარხალი, კანაფი და თამბაქოც კარგა მოდის შავ მიწიან ნიადაგზედ.

8. ტორფიანი ანუ ჭაობიანი ნიადაგი. ტორფი იმ ალაგს ჩნდება, სადაც წყალი გუბდება და არ საითა აქვს დასაწრეტი; ამისთანა ალაგებში ყოველთვის მჟავე ბალახები იზრდებიან: წალამი, ჩალა, ლერწამი და სხვა. ეს ბალახები ყოველ წლივ ჰკნდებიან, მაგრამ სრულებით დალპობა და გამიწება არ შეუძლიანთ, რადგან სისველე უშლის. ამ გვარად ამისთანა ალაგებში ყოველ წლივ ეფინება ნიადაგს დამპალი ბალახი და რამდენსამე წლის განმავლობაში კარგა სქელი კეცი გადაეკვრება ხოლმე. ეს ნიადაგის კეცი, რომელიც დამპალი ბალახისა და ნამტვრევი ხე ბის ერთმანეთზე მიტკეპნისაგანა ჩნდება — არის ტორფი. ამ ტორფს უშეშო ალაგებში სჭრიან თხლად დედამიწიდგან, ახმობენ და მერე შეშის მაგიერად საწვავად ხმარობენ. ტორფის კეცი სისქით ზოგჯერ ერთი საჟენიდგან ოთხ საჟენამდის მიუწევს ხოლმე.

ჭაობიანი ნიადაგი ისე ძალიან ნოტიო არ არის, როგორც ტორფიანი; ამის გამო ბალახები ჭაობიან ნიადაგზე უფრო ძალიან ლპება და მიწდება; ეს ნიადაგი ტორფიანზედ უფრო შავია, ფშვნილი, მჩატე და ადვილადაც იხვნის-იფარცხება. ტორფიანი და ჭაობიანი ნიადაგი ბალახების მოყვანისთვის უფრო გამოსადეგია, ვიდრე სხვა რამე მცენარისთვის.

ამ ნიადაგის გასამჯობინებლად ბევრი ჯაფა და ხარჯია საჭირო. ყველაზე უწინ ამისთანა ნიადაგს გაშრობა უნდა; ამისთვის არხები უნდა გასჭრან და შორს გაიყვანონ, რომ წყალმა იდინოს ჭაობიდგან და სინოტიე დაიწრიტოს; რაკი ამ გვარად გაშრება მიწა მაშინ ხვნა-თესვაც შეიძლება იმაზედ.

რაკი შევიტყვეთ რა ნაირი ნიადაგები არიან და ერთი ერთმანეთისაგან რითი განირჩევიან, ჩვენ შეგვიძლიან ახლა ისიც გამოვიცნათ, თუ რა ნიადაგის მიწა იქნება ის მიწა, რომელიც ჩვენ ამას წინად გამოვცადეთ და ვპოვეთ, რომ ას ნაწილ მიწაში იყო:

წყალი (სინოტიე) 12 ნაწილი.
შავი მიწა — — 8 — —
თიხა — — — 50 — —
ქვიშა — — — 25 — —
კირი — — — 5 — —

სულ 100 ნაწილი.

ეს ნიადაგი ნაყოფიერი იქნება, რადგან თორმეტი ნაწილი წყალი აქვს, და თიხიან ნიადაგს ეკუთვნის, რადგან ორმოცდა ათი ნაწილი თიხა არის შიგ.

ნიადაგის სიკეთე და სიცუდე როგორც სხვა და სხვა ნაწილისაგან წარმოსდგება, აგრეთვე შემდეგი გარემოებისაგანაც:

1. მდებარეობისაგან და იმისგან, თუ საით არის დაქანებული. თუ ცოტათი არის დაქანებული, მაშინ ხვნა-თესვისათვის ივარგებს; თუ მომეტებულად არის დაქანებული, — საძოვრად გამოდგება და თუ ძალიან არის დაქანებული, მაშინ ტყის გასაშენებლად ვარგა, თორემ სხვა არაფრისთვის — უნდა ტყუილად იყოს უხმარებლად. ამას გარდა: ა) თუ დასავლეთისკენ არის დაქანებული, უფრო დიდხანს ინახავს სინოტვეს, თუ აღმოსავლეთისკენ — უფრო მალე შრება. ბ). სამხრეთისკენ დაქანებული ნიადაგი — უფრო მშრალია და თბილი, ამიტომ ყველა მარცვალი და მოსავალი კარგი თვისებისა იცის. გ) ჩრდილოეთისკენ დაქანებული ნიადაგი ცივია და ნოტიო, მცენარე იმისთანა ნიადაგზედ გვიან იზდება და გვიანაც შემოდის; ჩრდილოეთისკენ დაქანებული ნიადაგი ქვიშიანი სჯობია და სამხრეთისკენ დაქანებული კი — თიხიანი. დ) ყველაზე კარგი ნიადაგი ის არის, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთისკენა და სამხრეთ-დასავლეთისკენ არის გაქანებული.

2) ყველა ნიადაგის თვისება იმაზეა დამოკიდებული, მაღლობზე მდებარებს, თუ დაბლობზე. რამდენიც მაღლობზეა მიწა, იმდენი ცივია და ქარებისაგანაც ადვილად ვნდება; დაბლობი ალაგი კი თბილია; — ის არის ცუდი, რომ სინოტიე იცის.

3) ყველა ნიადაგის სიცუდე და სიკარგე ჰავაზედ არის დამოკიდებული. ნოტიო და ცივ ჰავაში ქვიშიანი ნიადაგი უფრო ნაყოფიერია, გარნა ხმელ ჰავაში — თიხიანი ნიადაგი სჯობია.

4). ნიადაგის თვისებაზე გავლენა აქვს აგრეთვე გარემო მდებარე ტყეებს, მთებს, წყლებს, ტბებს, და მდინარეებს. ტყეები ბევრჯერ შველიან ნიადაგს გვალვის დროს, რადგან ყოველთვის სინოტიესა და სიგრილესა ჰბერავენ ზედ; აგრეთვე ცივი ქარისაგანაც იფარვენ; მთებიც სასარგებლონი არიან იმითი, რომ ქარს იფარებიან; ამას გარდა მთიან და ტყიან ალაგას უფრო ბევრი წვიმა მოდის ხოლმე. ახლო მდებარე წყლები, ტბები, მდინარეები და ჭაობები ჰაერს ანოტიებენ და აგრილებენ; ეს ჰაერის სინოტიე და სიგრილე ნიადაგს ძალიან შველის სიცხეებისა და გვალვის დროს; მაგრამ ცუდი ეს არის, რომ ცივ ალაგებში მცენარეს დასძრავს ხოლმე ხანდახან.

ჩვენ რაცა ვსთქვით აქამდის სულ ნიადაგს შეეხებოდა, სახნავ კეცს, ესე იგი იმ მიწის კეცს, რომლის სიღრმეზედაც ჩვენა ვხნავთ. ამ კეცის ქვეშ ძევს სხვა მიწის კეცი, რომელიც უნდა ეცადნენ, რომ სახნისით არ გადმოაბრუნონ და ამით არ გააფუჭონ ნიადაგი. ამ მიწის კეცს ეძახიან ნიადაგის ქვეშეთს ანუ ქვედა ნიადაგს, რადგან სახნავი ნიადაგის ქვეშა ძევს. ქვედა ნიადაგს დიდი გავლენა აქვს სახნავ ნიადაგზე. ქვედა ნიადაგი უფრო ხშირად სხვა მიწისგან შესდგება და შავი მიწა იმაში ან ძალიან ცოტა ურევია და ან სულ არ ურევია. მთიან ალაგას სახნავი ნიადაგი ხშირად კლდეებზედ არის გადაკრული; ზოგან კი ქვედა ნიადაგი შესდგება ხვინჭნარისაგან ანუ ქვებისაგან, თიხისაგანა და ქვიშისაგან, კირისაგანა და მჭადა ქვისაგან. თუ ქვედა ნიადაგი სასარგებლო მიწებისაგან შესდგება, მაშინ შეიძლება გამოაბრუნონ და ნიადაგს გადურიონ იმისი მიწა, მაგალითად: კირი, მჭადა ქვა და თიხა კარგი იქნება რომ ქვიშიან ნიადაგს გადურიოს, ხოლო ქვიშიანი ქვედა ნიადაგი — თიხიან ნიადაგს; მაგრამ ამ ნიადაგების ერთმანეთში გადარევა ფრთხილად უნდა და ამასთან ცოტ-ცოტათი, ამიტომ რომ ქვედა ნიადაგში ხშირად ისეთი ნაწილები ურევია, რომ, თუ მზე და წვიმა არ მოხვდა — მავნებელი იქნება მოსავლისათვის. ნიადაგის სინოტიე და სიმშრალე აგრეთვე ქვედა ნიადაგზეა დამოკიდებული: თუ ნიადაგი თიხიანია და ქვედა ნიადაგი კი ქვიშიანი მაშინ ნიადაგის მომეტებული წყალი ქვედა ნიადაგის ქვიშაში გავა — და ეს მარგებელი იქნება ნიადაგისთვის; ან თუ ნიადაგი ქვიშიანია და ქვედა ნიადაგი თიხიანი, მაშინ წყალი დიდხანს დარჩება ნიადაგში და გვალვები ვეღარას დააკლებენ იმას. მაგრამ როდესაც თიხიანი ნიადაგს ქვედა ნიადაგიც თიხიანი აქვს, ან ქვიშიან ნიადაგს ქვედა ნიადაგი ხვინჭნარიანი

ანუ ქვიშიანი აქვს, მაშინ ნიადაგ! სინოტივეც ზეერჯერ ავნებს და გვალვებიც.

როდესაც ხვნა-თესვას აპირობენ — ეს ყოველივე მხედველობაში უნდა იქონიონ, რადგან მოსავლის სიცუდე და სიკარგე, ნიადაგის გახმობა და სინოტივე, ნიადაგის თვისებაზედ, მდებარეობაზედ და ქვედა ნიადაგზედ არის დამოკიდებული. ამას თუ ყოველის ფერს ყური მიუგდო მხვნელ-მთესველმა — მაშინ უეჭველია იმისი სამეურნეო და საოჯახო საქმე უფრო რიგიანად წავა და უფრო ბევრსაც შეიმატებს.

---

## კორრესპონდენცია რაჭიდამ. დაბა ონი.

მე ვფიქრობ მკითხველებს რაოდენადმე გავაცნო რაჭის მდებარეობა, აქაური ხალხის ხასიათი და ხალხის ახლანდელი მდგომარეობა.—

ამ მხარეს დარქმევია რაჭის სახელი, მოგვითხრობს ჩვენი გეოგრაფი, მეფე ვახუშტი, შემდგომის შემთხვევისა გამო: ერთი ქართველი მონადირე კაცი, რომელიც პირველად აქ დასახლებულა, ამოსულ იყო იმერეთიდამ ნაქერალაზე, (*) იმერეთის მოსაზღვრო მთაზე, და გადმოეხედა რა აქეთ მხარეზე, განცვიფრებულიყო ამ ღრმა და ვიწრო რიონის ხეობაზე, მიემზგავსებია ეს მხარე ჭას და დაეძახნა „ეს რა ჭა ყოფილაო!“ თვითონ ხალხ რომ ჰკითხო, ისიც გემოწმება ამ ამბავზე. მას შემდეგ ამ მხარეს რ ა ჭ ა დარქმევია. და არც უმიზეზოდ დარქმევია... რ ა ჭ ა ს აღმოსავლეთით და დასავლეთით საზღვრავს ზორის და ოსეთის (დიღორის) მაზრა, მურეხის მთიდგან ფასის ანუ ბასიანის მთამდის; დასავლეთით ლეჩხუმის მაზრა, ფასის მთიდგან ასკის წყლამდი და შემდგომ ქუთაისის მაზრა ნაქერალით და მისი ტოტები, ხოლო სამხრეთიდ რაჭის საზღვარს შეადგენს შორაპნის მაზრა. შიქმერზე, საწალკეზე დაყოლებული და მერმე ზორის მაზრა, ერწო მთიდგან დაწყებული მურეხის მთამდი. ამ საზღვრებს შუა იმყოფება ეხლანდელი რაჭის მაზრა; რომელსაც იმერეთის მეფეების დროს თავისი ერისთავი ჰყავდა, ხოლო უკანასკნელ დროს მეფე სოლომონ 1-ლმა შერისხა რაჭის ერისთავი, და ერისთაობა რაჭაში მოისპო. შესანიშნავნი ძველად აღშენებულნი ტაძრები და მონასტრები იშვიათად იპოვებიან აქ, ხოლო ციხეების და კოშკების ნანგრევები ახლაც აქა იქ სჩანან.

მკითხველი საზღვრების აღწერიდამვე მიხვდებოდა, რომ რაჭის გეოგრაფიული მდებარეობა ძალიან დაცული და თითქმის დახურულია მთებითა. ის შეიცავს თითქმის მარტო რიონის ხეობას, რომელიც სივიწროვით და მაღლობითაც ბევრად მიემზგავსება ზეკარის ხეობას იმ განსხვავებით, რომ აქ თვალი ვერ ხედავს იმ მშვენიერ და სხვა და სხვა ნაირ გარდასახედავებს, რომლებითაც სავსეა გზა ბაღდადიდამ ახალციხემდი. აქაური გზებიც, ნამეტურ ის გზა, რომელიც ლეჩხუმზე მოდის, ბევრჯელ მოგვაგონებდა ჩვენ ზემოხსენებული ხეობის გზებს. აქამდის ქუთაისიდამ რაჭაში მხოლოდ ერთი გარდასავალი იყო ნაქერალაზე, რომელზედაც ზამთარში დიდი თოვლისა და ბუქებისა გამო მოისპობოდა ხოლმე სიარული. ახლა გაუკეთებიათ ლეჩხუმზე ვიწრო გზა, რომელსაც გაჭრილს, რუსულს შარას ეტყვიან. ეს გზა მიჰყვება სულ რიონის მარჯვენა ნაპირს და მიდის კავკასიისაკენ. ჯერ ამ გზის გაკეთება შესრულებული არ არის და როდესაც შესრულდება მართებლობას აქვს განზრახვა სტანციები დააწესოს ქუთაისიდამ კავკასიამდი და რუსეთიდამ ფოჩტა პირდაპირ იმერეთში გარდმოატანინოს. რასაკვირველია, ამ გზას დიდი კეთება და ჯაფა უნდა სისრულეში მოყვანისათვის, ახლანდელ მდგომარეობაში ურემს ვერ შეუძლია იაროს; ბევრგან ცხენსაც ძალიან უჭირს, ამას გარდა თითქმის ყოველს ადგილს მეწყერის გამო გზაზედ ჩამოდის და აწვება მიწა და თიხა. ეს ადგილობრივი აქაური მიწის თვისება ძლიერ შესანიშნავია და არიან იმგვარი სოფლები, რომლებშიაც ოთხს, ხუთ ვერსტზე მიდის მეწყერი და თან-და-თან ხდებიან ყანები, ვენახები და ეზოებიც. ჩვენ მოვიყვანთ აქ ორიოდე ფაქტს, რომელნიც ამ მეწყრების მავნებელ თვისებას ცხადათ ხატავენ. ამ თხუთმეტ წლის წინეთ სოფ. უწერაში, შუადამეს გასაოცარი, ვაება მეწყერი წამოსულიყო მთის ფერდოზე რიონის მარცხენა ნაპირზე, სადაც უფ. ზამყრელიძე ესახლა. სახლები რომ დაიძრა და კედლებმა რახარუხი დაიწყეს, ქალები და კაცები პერანგის სამარა კარში გამოცვივნილ იყვნენ, მაგრამ ორი მოსახლეების სახლები, საქონელი, ავეჯულება და სხ. სრულებით დაელეწა მეწყერს და რიონამდის ჩაეტანა, თვით რიონიც დაებუგებინა. მთავრობას მთელი რაჭა გამოეწვია ამ სახლების ამოსათხრელად, მაგრამ ამაო იყო ყოველი... ხალხი ამბობს, ვითომც მეორე დღესაც მიწიდამ ძაღლის ყეფა ისმოდა. ახლაც სჩანს ეს მეწყერი, რომელსაც დიდი ადგილი უჭირავს და რომელზედაც ხეები, თვით ბალახიც, ჯერ კარგად არ ამოსულა. მეორე შემთხვევა: ერთი გლეხი სასამართლოში მოსულიყო და უჩიოდა თავის მეზობელს ვენახზე და ხეხილზე, რომელიც მეწყერს წაელო ქვეით და სხვის ზვარში ჩაეტანა; ხოლო მეზობელს ეთქვა: „ჩემი ვენახის მაგიერად, რომელიც სრულებით დაფარულიაო, ღმერთმა შენი ზვარი და ხეხილი მომცაო“. მეწყერი უფრო რიონის მარცხენა ნაპირზედ იცის და ჩვენის აზრით ეს მოხდება ხოლმე წყლისაგან, რომელიც მიწაში გროვდება, ნელნელ შეუდგება და გაუჯდება მთის გვერდებს, მერმე თან მოაქვს ეს თიხიანი, სუსტი მიწა. ჩვენ ვფიქრობთ უთუოდ აქ შესდგა ანდაზა, რომელიც ქართულს ენაში ხშირად იხმარება ხოლმე გაჯავრების და დაწყევლის დროს „წინ წყალი, უკან მეწყერი, შუაში მისი თავი“ და მართლაც კარგათ რომ გავშინჯოთ, დიდი დაწყევლაა. რამდენი მარცხი მომხდარა ამ მეწყერისაგან, რადგანაც მიდიხარ გზაზე და უეცრად ჩავარდები დიდს ტალახში და წყალში, რომელშიაც ცხენიც ზურგამდის გაივლის! ამ მეწყერისა გამო ბევრი უბრალო ჯაფა გაუწევიათ ინჟინერებს; მათ ვერ შეუტყვიათ აქაური მიწის ზემოხსენებული თვისება, რომ დაეწყოთ გზის კეთება რიონის მარცხენა ნაპირზე. მათ გაუკეთებიათ ერთი მშვენიერი ხიდი რიონზე მაგრამ ცოტა ხანს უკან მეწყერს სრულებით წაეხდინა გზა, და მას შემდეგ ისევე რიონის მარჯვენა ნაპირზე გამოეყვანათ ახალი გზა, რომელზედაც ჯერ ხიდებიც არ არიან გაკეთებულნი, და რამდე-

---

(*) ნაქერალას ეძახიან ამ მთას, რადგანაც აქ ერთ დროს ქერი ყოფილა დათესილი: ერთს რაჭის ერისთავს ყოველი საშვალება ეხმარა, რომ მისი მამის სახელი, რომელიც ძალიან სასტიკად და შეუწყნარებლად ეპყრობოდა ხალხს, კარგად ეხსენებიათ. მას ბოლოს მოეგონა შემდგომი ზომა: ხალხის შესავიწროვებლად მას განეზრახა მთის დახვნა და ქერის დათესვა; ხალხს მაშინათვე დაეწყო ლოცვა მისი მამის სახელისა და ამ მთას კი სახელად ნაქერალა დარქმევია.

ნი უბედურება მოხდება ხოლმე ამ საშინელი ჩქარა მიმდინარე წყლებში გასვლაზე!.. მთების სიახლოვისა და მაღალი მდებარეობისა გამო რაჭამ იმერეთის ყველა მაზრებზე უფრო ციეი ზამთარი იცის; ზამთარის ყინვა მთელს იმერეთში გჵნთქმულია და ამ აპრილის დამლევს როდესაც მე ვსწერ, ჯერ აქ ტყემალი არ აყვავებულა და ამ დღეებში, 22 რიცხვს კიდევაც სთოვლა, მაგიერად აქ არ არის ის ქარი, ქუხილი და მეხი, როგორც ვაკე-იმერეთში იცის და ჰაერიც აქ ბევრად უფრო მრთელია, ვიდრე იქ. ამ მრთელი და გრილი ჰაერისათვის და აგრეთვე სამკურნალო მადნეულ წყლებზე ზაფხულის გასატარებლად ამოდის აქ ხალხი ზემო და ქვემო იმერეთიდამ.

ამ წყლებს საზოგადოდ „მჟავე წყალს" ეძახიან და უფრო განთქმული წყლები უწერამ იცის, რომელიც ონიდამ 12 ვერსტზედ იმყოფება. (*)რიგიანი აღწერა ამ წყლებისა ჩვენ არშეგვხვედრია და ვეჭობთ, რომ კიდევაც სადმე იპოვებოდეს. უწერაში გამოდის რკინის წყალი, რომელსაც აგროვებენ ქვაბში და მერმე ნავებში ბანობენ. ამ საბანებელ წყალს „ვერძას" ეძახიან. იქვე გამოდის სასმელი მჟავე წყალი, რომელიც ძალიან შუშხუნაა და დიდი სიცხოველე აქვს. სხვათა შორის ის სტომაქს სწმენდს, მადას მოჰგვრის კაცს და სასაქმებელი თვისებაც აქვს; გემოთი ეს მჟავე წყალი ბევრათ ზელტერის წყალს მიემზგავსება, მაგრამ სიმწარე ზელტერის წყლისა არა აქვს. ამას გარდა აქ არის ერთი ადგილი, რომლიდგანაც ოშხივარსაეით გაზი გამოდის, ხალხი მიდის, ღერწამს (მასრებს) არჭობს მიწაში და სუნთქავს ამ გზას, რომელიც უთუოთ მავნებელი უნდა იყოს, რადგანაც თუ კაცმა ცოტა ბლომად ის შესუნთქა, მას თავბრუ ესხმის და გული ულონდება. ჩვენის მიხვედრით ეს უთუოთ ის გაზი უნდა იყოს, რომელსაც რუსულად „углекислый газъ"-ს ეძახიან: როდესაც მას ჩვენ ქაღალდით ანუ ჭუმჭუმით ცეცხლი მივადევით, მაშინვე ცეცხლი გაგვიქრო. ამ მავნებელ მოქმედებას გარდა ამ გაზზე ცრუ მორწმუნოებაც გავრცელებულია: უშვილო დედა-კაცები მოდიან აქ და ხან დგებიან ფეხზე, ხან სხდებიან ამ გაზზე და მით იმედოვნებენ შვილის შეძენას. ღიმილს ვერ შეიკავებთ, რომ ნახოთ, როდესაც აქაური ქალები მოიყრიან ერთად თავს ამ ადგილზე და სხედან, თითქო კრუხებს თავიანთი წიწილები გამოჰყავეთ...

(*) მადნეული წყლები აგრეთვე გომში და გლოვაში არიან.

ნიადაგი საზოგადოდ ნაყოფიერია, რადგანაც აქ კარგად უვლიან ყანებს და ვენახებს. პური და ღვინო უფრო კარგი ქვემო რაჭაში იცის; ბუგეულის მახლობელ სოფლებში. ღვინო ნაქებია ტოლისა, ხვანჯკარისა და მართლაც ეს თავ. ყიფიანების ღვინო ბევრად მიემზგავსება კარგს კახურს ღვინოს. რაც მიეწერება, როგორც ზემოხსენებულთ სოფლების ნიადაგს, აგრეთვე ვენახის განსაკუთრებულ თავ. ყიფიანების მოვლას. ხოლო მაღალ ადგილებში ღვინო არ მოდის, და იქაურ მცხოვრებლებს უფრო მდაბალ ადგილებზე რიონის პირად ზვრები აქვთ. შესანიშნავია, რომ ჯერ რაჭაში თითქმის ყურძენი არ ავათმყოფობს. კარგი მოსავალი იცის რაჭამ, მაგრამ მიწის სივიწროვემ სწორედ შეაწუხა ხალხი. აქაური გლეხების უფროსს ნაწილს ისრე ცოტა მიწა აქვთ, რომ მარტო მიწის შემოსავალი ნახევარს წელს თუ ყოფნისთ და გაზაფხულამდის ძლივს გაჰყვება, მერე კი მათ სულ ნასყიდის ნამუშავრით უნდა ირჩინონ თავი. ამიტომაც ისინი იძულებულ არიან წავიდნენ სამუშაოდ სხვა და სხვა ადგილებში: ქართლში, კახეთში და იმერეთში--ვინ, როგორც კრუები, ისე არიან ხოლმე მუშად, ვინ მეწისქვილედ, ვინ მეხაშედ, ვინ ხუროდ, ვინ მებაღედ და შრომობენ და ჯაფობენ. კახეთში რომ იმერული სახლები და ხულები გაუწყვიათ, ისინი სულ ამ რაჭველების აშენებულნი არიან. რამდენი დალოცვა და ქება გაგვიგონია ჩვენ კახეთში და ქართლში იმათ ხელოსნობაზედ, ოსტატობაზედ: „ისინი (საზოგადოდ იმერეთის მდაბალი ხალხი) რომ არ იყვნენ, ამბობენ ქართლელები და კახელები, ჩვენ რა გვეშველება, ყველაფერი ხელოსნობა ჩვენში იმათგან გამოდის და მათ უჭირავსთ, თითონაც სარგებლობენ და ჩვენც გვასარგებლებენ". მაგიერად რაჭველებიც ხშირად მოჰყვებიან ქართლის და კახეთის ლოცვას და მოგეხსენებათ რა მარილიანი დალოცვა იციან რაჭველებმა: „ქვე ღმერთმა ააშენოს, ამბობენ ხოლმე ისინი, და დალოცოს ქალაქი (ტფილისი) საქართველო (აქ, როგორც იმერეთში, საქართველოს შეცდომით მარტო ქართლს ეძახიან) ბატონო, ისენი ქვე რომ არ გვყვავდეს, ჩვენს ყრუ ქვეყანაში ქვე რა გვეშველებოდა, შენი ჭირიმე, ქვე შიმშილიდ დევიხოცებოდით, ისე დეიხოცა შენი მტერი. ღმერთმა ნუ მოგვიშალოს ჩვენ რაჭველებს საქართველო!" ადგილების სივიწროვეც მართლა გასაკვირველია, და ამით აიხსნება ის გასაოცარი ფასი, რომელიც აქაურ ადგილებს აძევს. არიან საყანო მიწები, რომელთაც ერთი დღიური იფასება 80 თუმ.! ამას მე ვსწერ ერთი მომრიგებელი შუამავლის დარწმუნებისამებრ. საზოგადოდ 25,30 თუმ. ისყიდება აქაური გამოსადეგი ქცევა (თითქმის დღიურია,-- 900 კვადრატის საჟენი). თუმცა ხალხი შეწუხებულია სივიწროვისაგან და დრტვინავს თავის მდგომარეობაზედ, მაგრამ სხვა ქვეყნებში გარდასახლებას კი არა ფიქრობს. კახეთში, წინანდალში, ყვარელში და სხვ. სოფლებშიაც ჩვენ გვინახავს რაჭელები იქ დასახლებულნი; მაგრამ სხვა ადგილებში კი არ მიდიან. როდესაც შარშან მმართებლობის მინდობილებისამებრ უფ. ხატისოვს რაჭველებისათვის აფხაზეთში გადასახლებაზე წინა-დადება მიეცა, ამათ პირდაპირი უარი ეთქვათ და დაფუძნებულიყვენ შემდგომ, ჩვენი ძალიან გავრცელებულ ანდაზაზე: რაც არ ექნას მამაშენსა, ნურც შ̦ნ დახევ ფართაშებსა...

რაჭის მაზრა შეიცავს 51 სოფლის საზოგადოებას, რომელიც 129 სოფლებიდგან შესდგება და მცხოვრებლების რიცხვი 50 ათასამდი მიაღწევს (*). საზოგადოდ რაჭას ძლიერ მშრომელი და მუყაითი ხალხი ასხია. აქ მარტო მამრობითი სქესი კი არ მუშაობს და მიწას ხნავს და თესავს, არამედ ქალებიც მონაწილეობას იღებენ ყველა შრომაში და შემოდგომის დაწყებიდამ, როდესაც მათი ქრმები სამუშმოდ საქართველოში მიდიან, ოჯახი მარტოქალებზე ტრიალებს თვით აღდგომამდი, როდესაც ვაჟკაცები შინ ბრუნდებიან. ჩვენ არა ვფიქრობთ, რომ საქართველოს რომელიმე მაზრაში ამ გვარ შრომის მოყვარე და მუშა ხალხი იპოვებოდეს, როგორც აქ, რაჭაში. მე უფრო გლეხ-კაცობაზე ვამბობ. თვით მათი აგებულების მოყვანილება იმათ თვისებებს ცხადათ გვაჩვენებს. ისინი კარგად ჩასხმულნი ზომიერის ტანისა, მხარ ბეჭიანი და ძარღვიანები არიან. იმათი ტანსაცმელი დი-

(*) უფ. რადდე თავის მოგზაურობაში რაჭის მცხოვრებლების რიცხვს 48-ათ. რაცხავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათ არ განსხვავდება იმერლების ტანისამოსზე, მაგრამ მათ ზურგზე დააქვთ გუდა ცხვრისა, ან ხბოს ტყავის ხალთა,—რომელზედაც ვაკელები (ქვემო იმერლები) რაჭველებს დასცინიან (რაჭული გუდა). ქალების ტანისამოსი კი აქ უფრო სხვა ნაირია: აქ ბაზრის დღეს ქალები ახალუხებით, ჩოხებით, პაჭიჭებით, ქალამნებით და ნაბდებით გამოდიან და ყელებზე, როგორც თათრის ქალებს, სხვა და სხვა შუშების ღინჭილა ჰკიდიათ; ვერც ტანსაცმელით და ვერც სილამაზით აქაური ქალები ვერ დაიკვეხნიან. გურიაში და სამეგრელოში ყოველს ეკკლესიაში კვირა დღეს ნახავ 20, 30 მშვენიერი შავ-თვალ წარბებიან, ემხიანათ, კეკლუცად ჩაცმულ ქალებს, და აქ კი ამ გვარებზე უკაცრავათ ვართ. კლაპროტი რომ თვისებაებს აწერდა მე-17 საუკუნეში მეგრელ ქალებს, ის თვისებანი არც ამ ჟამად დაუკარგავთ აქაურ დიაცებს... ფილიპპე მაკედონელი დაკვეხნით იტყოდა ხოლმე, რომ საბერძნეთის ციხეები ოქროთი დატვირთული ვირებით ადვილად აიღებაო; ის რომ ეხლა ცოცხალი იყოს, აქაურ სიმაგრეებზედ იტყოდა, რომ ვერც ესენი გაუძლებენო ამ შემაცდენელი კეთილ-შობილის მეტალის სიტრფოებას... და ბერძნების ღმერთს, ვენერას აქ მრავალი თაყვანის მცემელი ჰყავს, და რასაკვირველია, მსხვერპლებიც მოუთხოვნიაო.

(შემდეგი იქნება).

## საექიმო ნაწილი.

### ზაფრის ცხელება.

ზაფრის ცხელებას იმ ავათმყოფობას ეძახიან, რომ კაცს პირიდგან და ტანიდგან ხშირათ და ბლომათ ზაფრას ასაქმებს.

#### ზაფრის ცხელების ნიშანი.

პირველ დღეს ზაფრის ცხელებით ავათმყოფებს წმინდათ ანთების ცხელების ნიშნები აქვთ, ენა გაუყვითლდება, პირში გემოვნება გაუმწარდება, გულის კოვზთან ტკივილს დაუწყებს, მოაყოლებს ზიდებას და ბოლოს თითონ გულის რევაც აუვარდება და ხანდისხან ბლომათ ზაფრასაც აზიდებს. მესამე ანუ მეოთხე დღეს ავათ-მყოფებს მოერევათ თვალებში სიყვითლე და შარდშიაც ზაფრა. პირი და ენა გაუშრება. ხუთს ან შვიდს დღეს შემდეგ, ზოგჯერ ჩირქზე, ზაფრაზე და სისხლზე ერთათ არეულზე ასაქმებს, ან ჩირქზე და ზაფრზე ერთათა და ამასთანავე წინათ ნაწლევების წვა აწუხებს ავათმყოფსა. ამას შემდეგ, თუ ავათ-მყოფობა გადასავლებია, სულ ზემოხსენებული მიზეზიანობა ცოტ-ცოტათ იკლებს და ავათ-მყოფი მორჩება; თუ არა და სიფალარათე და ჩირქზე საქმობა მოიმატებს, ოფლი სქელი ედინება ავათ-მყოფსა და თითქმის წებოს მსგავსი შარდი შეიქმნება, სქელი, ზაფრიანი მღვრივე,—და საქონლის შარდს დაემსგავსება; პირში ნერწყვი მოიშატებს, ენას, ღრძილებს და კბილებს მოეფინება მოშაო ჭუჭყი, პირის-სახე აემღვრევა ავათ-მყოფს, ფერს იკრთობს და პირზე დაასხამს წებოიან ქონისმსგავს ოფლსა; ამასთანავე ტანზედ გამოაჩნდება წითელი მოშაო ლაქები, და ეს ლაქები შემდეგ ან მოშაო ფერს ან მოლურჯო ფერს დაიჭერს. ძალა ავათ-მყოფებს თანდითან ელევათ, დამშვიდებულ ბურანში შედიან, ლაპარაკს ურევენ და ხანდისხან თავისთავათ ბოდვას მოჰყვებიან. მალე ხმელი ძარღვები კრუნჩხვას უწყებენ, თითონ ავათ-მყოფები ბალიშებიდგან ჩამოცურდებიან, მუხლები აუკანკალდებათ, თვალები დაუწყებთ ბრიალს, სიფალარათე გამოაჩნდებათ, და შემდეგ მეტის-მეტ ჯანის სისუსტით დაერთვის სიკვდილიცა.

#### შინაგანი მიზეზი.

ნაღველა რომ ალეძვრის ავათმყოფსა შინაგანი მიზეზი ეს არის. ზაფრის ცხელება უფრო დაემართებათ ზაფრიან ხასიათის ადამიანებსა; ამათ ნაღველის აღძრულება სიცხეში ადვილათ ემართებათ, მეტადრე როდესაც ხმელ ჰაერიანის ადგილიდგან ნოტიო ქვეყანაში გადაველენ.

#### გარეგანნი მიზეზნი.

გარდა მიზეზისა, რომელიც წმინდათ ცხელებას აქვს, საკუთარი მიზეზი ზაფრის ცხელებისა არის შემდგომი: ცხელი ზაფხულის დღეები, როდესაც სიცხის შემდეგ ცივი ნამიანი ღამეებია; ამის გამოისათ ეს ავათ-მყოფობა უთუოდ ზაფხულის ბოლოს იწყობა და ზამთრის დამდეგს თავდება, უმეტესათ თბილ ქვეყნებში, როგორც ჩვენში და სადაც ჭაობიანი ადგილია; ეს ავათ-მყოფობა მოხდება ხოლმე საცა ნოტიო ან ავდრიან ამინდს მოჰყვება დიდი გვალვები; ამასთანავე ეს სნეულობა ემართება ვინც გაშლილ ცის ქვეშა მუშაობს, მინდორში ატარებს დღესა და ღამესა და ვინც ღამით გარეთა რჩება ან დანამულ მინდორშია, ერთის სიტყვით: მიწის-მხვნელ-მთესველები, მოჟკლები და მთიბავები.

ზაფრის ცხელება იმითი განსხვავდება წმინდა ანთების ცხელებისგან, რომ ზაფრის ცხელება არის წმინდათ ანთება ნაღველისა და თან ზაფრა ემატება ნაღველაში. ზაფრა კუჭში უდგება და ხანდისხან მთელ ტანშიაც მოეფინება ეს ზაფრა.

#### შეტყობა ზაფრის ცხელებისა.

თუმცა ზაფრის ცხელება თავდაპირველათ წმინდათ—ანთების ცხელებასა ჰგავს, მაგრამ ზაფრის მოფენა კუჭში და ნაწლავებში აღძრავს კუჭსა და ნაწლავებსა და ეს საკმაოდ ცხადათ აჩვენებს რომ ზაფრიც ცხელებაა; მეტადრე გამოჩნდება შვიდს, ცხრას და ათს დღის შემდეგ, როდესაც ზაფრის ცხელება დამპალ ცხელებას დაემგზავსება.

#### წინათ შეტყობა ზაფრის ცხელებისა.

წინათ შეეტყობა ზაფრის ცხელებისა სიფთხილისათვის ყოველთვის კარგია, ამიტომ რომ სნეულება კარგის გარემოებისაგან ადვილათ მოსარჩენია, მეტადრე თუ წამლობას თავის დროზედ დაიწყობენ. მაგრამ თუ ამ ავათმყოფობას თავი დაანებეს და დამპალ ცხელებათ გადიქცა მაშინ წინათ შეტყობა საეჭვო და თითქმის საშიშოც შეიქმნება. რამდენიც ჰავა ცხელია, იმდენათ შიში აქვს, ამიტომ, რომ ამ დროში ეს სნეულობა ავათმყოფს და წამლობასაც ძალიან ერევა. ავადმყოფობა განგრძელდება და გასტანს თორმეტ, ჩვიდმეტ, და ოცდა ერთ დღემდინ.

#### ბოლო.

ეს ცხელება, გარდა მორჩენისა და სიკვდილსა, ხშირათ იცვლება სხვა და სხვა სნეულებებათ, სახელდობრ: კუჭისა და ღვიძლის აღძრულებათ, მეტადრე ნაღველის აღძრულებათ და ჯანის მოწყვეტათ, ისე რომ ავათ-მყოფები ცხელებისა შემდეგაც დიდხან იტანჯებიან საჭმლის მოუნელებლობით, პილებინებით და სიფალარათით; ამიტომ ჯანზე და ღონეზე ძალიან გვიან მოდიან.

## საოჯახო ნაწლი.

### ბატების ხოცვა და მომზადება მათი.

როდესაც ბატი კარგათ გასუქდება, ჰკლვენ: კეფას უკან დანით გაუჭრიან კისერსა (გამოდენილ სისხლს მოაგროებენ ქოთანში, რომელიც შეიძლება გამოიყენოს სამზარეულოს საქმისთვის. მას უკან დაჰკიდებენ ბატ

იმდენ, რამდენიც შეჭმერის დროს სითბოსა, ან 2 ან 8 საათა დღეში.

უნდა წყნარა იხრაკოს ასე, 3 ანუ 4 საათი: ასე მომზადებული ბატის ხორცი არის დიდათ ნოყიერი, და ამას გარდა ბატის შიგნეულობისაგან მიიღება ხოლმე გირვანქა წმინდა ქონი, რომელიც უნდა დამარილდეს და მიემატოს სანელებელი, ამ ყოფით შეიძლება შეინახოს მთელი წელიწადი და მოიხმარებდეს როგორც სურს სამზარეულოში.

### მომზადება ბატებისა პომერანიაში.

პომერანიაში ბატი აძლევს სოფლელ კაც ყველას, რასაც სხვას ქვეყნებში აძლევს ღორი. იქ ყველა ოჯახი დაამზადებს ბატებისაგან ზამთრის საზდოს: დამარილულს და გამამდგარ ხორცსა.

პომერანიელებმა მოიპოვეს, ყოველგან კარგი სახელი ბატების მომზადებით და ვაჭრობით. მათი მომზადებს არის ასეთი: გული, ხორციანი ადგილი ბატისა, ამოიჭრება ერთად გულის ფიცრით, მემრე მას დაასველებენ წყალში; დაამარილებენ, აყრიან ქატოს, შემდეგ ერთ კვირას ბოლში დაჰკიდებენ ხოლმე მასუკან გააყრევინებენ ქატოსა, დაჰკიდებენ რვა დღეს გრილს ჩრდილიან ადგილში; ამით გათავდება მათი მომზადება. მაგრამ უფრო სჯობს რომ გამხმარს ბატის გულებს წაუსონ ცხელი მარილი და ცოტაოდენი გვარჯილა, მერმე შეახვიონ ქალალდში და სამი კვირა კომლში დაჰკიდონ.

### მომზადება ბატის კალმისა.

გარდა ქონისა და ხორცისა ბატები გვაძლევენ კიდევ კალამსა და ბუმბულს, რომელიც ისყიდება კარგ ფასად. კალმები იხმარებიან წერისთვის; ბუმბულს კი საჭიროებენ ლეიბისა და ბალიშების ასავსებლად. ბევრ ბატებს ბუმბულს წელიწადში სამჯერ ბდღვნიან: მაისის გასულს, თიბათვის ნახევარში და ენკენისთვის გასულს; ამაზედ გვიან აღარ შეიძლება დაგლეჯა თივთიკისა თორემ სიცივეს შეუძლიან აწყინოს ბატებსა. ბატებთა, რომელთაც გამოჩეკეს ჭუკები უნდა დეეგლიჯოსთ გერმა ექვს კვირას შემდეგ გამოჩეკისა; ახალ ჭუკებს კი ორ თვეს შემდეგ. მაგრამ თივთიკი უნდა დეეგლიჯოსთ მაშინ, როდესაც თავისთავათ იწყობს ცვივნას, და თუ ადრე დეეგლიჯა, მაშინ ის თივთიკი ცუდათ შეინახება და დაეხვევა მატლი. თივთიკი ეგლიჯებათ ბატებს მუცელსა და ფრთებს ქვევით და კისერზედ. შემდეგ ბატების სიკვდილისა გაბდღვნილ ბუმბულს რამდენსამე ხანს უკან აქვს ცუდი სუნი. და ამასთან ეუჭდებიან. თითო დაკლული ბატი გვაძლევს თითქმის ნახევარ გირვანქას ბუმბულსა; გირვანქა ღირს ცხრა შაურიდგან სამ აბაზამდის; ერთი გირვანქა თივთიკი ღირს 6 აბაზი. ბატები რომელთაც დააგლიჯეს თივთიკი უნდა გამოიშვენენ კარზედ ორ დღეს შემდეგ.

საწერი კალმებიც ფასიანი საქონელია; თვისების დახედვით ასი ღირს ხუთი შაურიდამ ორ აბაზამდინ. თითო ფრთა გვაძლევს 4—5 კალამს რომლებსაც გასახმობად თონეში ჩაჰკიდებენ ნახევარ საათს, პურის გამოცხობის უკან. თუ ასე არ მოიქცნენ კალამს ზედ ქონი რჩება. წერისათვის სახმარებელ კალმებს, ცხელ ნაცარში ან ცხელ წყალში სდებენ და როდესაც ცოტა მორბილდება, ტყავით ძალიანა სწმენდენ. მასუკან წყალში ალბობენ და სწორეთ არგვალებენ. მშრალ ადგილს უნდა შეინახონ, თორემ დანამიანდება, სუნი აედინება და ფუჭდება; ძალიან სიმშრალისაგანაც კი სქდება.

### ბატების შენახვა

ეს ღონისძიება მდგომარეობს მასში: ბატს მოსჭრიან ფრთებსა; დარჩება მარტო სხეული; შემდეგ დასჭრიან ხორცსა და ქონსა, და ჩასდებენ ორ სამ დღეს მარილში, რომელსაც უმატებენ ცოტა გვარჯილასა. მასუკან ხორცს ჩასდებენ ქვაბში და თავის ქონში ხარშავენ, მანამ კარგა დარბილდება, ისე რომ შეიძლებოდეს ძვლებისაგან გაშორება. ნაჭრებს გაუყოფლად ჩააწყობენ ჩინურის ქილებში და ინახავენ შინ მოსახმარებლათ. სხვა ადგილს გასაგზავნათ აწყობენ რბილ და უსუნო ბოჭკებში. ზევიდამ დაასხავენ დამდნარ ქონსა, ასე რომ ამოამსებენ ცარიელ ადგილებსა და მერე კარგათ დახურავენ დიდხანსა, თავის ბუნებითი გემოს შენახვისათვის, თავის დროზედ უნდა მოემატოს დუღილის დროს მარილი და სანელებელი, პილპილი, მიხაკი და დაფნის ფოთოლი. როდესაც გაცივდება კარგათ, მაშინ თუ უნდათ შორ გაგზავნონ, უნდა ზევიდამ მოესხას დამდნარი და არა ნადუღი დუმის ქონი სიმაღლით ერთი ან ერთ ნახევარი გოჯი. ჩასადებათ შეიძლება აგრეთვე იხმარონ ბებერი ბატი თუ კარგათ გასუქებული არის, აგრეთვე იხვები და ინდოურები ჩაიდებიან. ამ გვარათ მომზადებულ შინაურ ფრინველებს კაი გემო დიდხანს შერჩებათ. თუმცა ამ გვარათ მომზადებას უფრო მეტი ხარჯი აქვს, მაგრამ გემოც კარგი აქვს და კაი და კაი გემოსთვის მყიდველი ფასსაც გამოიმეტებს.

### ბატების და იხვების დამარილება

ბატების და იხვების დასამარილებლად განსაკუთრებით ხვიჭირი მარილი უნდა იხმარონ, იმიტომ რომ ხვიჭირი მარილი უფრო კარგად ეთვისება და არც უბრალოდ იკარგება. პირველად ბოჩკისა ან ქაშანაურის ქილის ძირში უნდა მარილი დაუფინონ, მერე მოაწყონ ზედ ბატები ან იხვები; შემდეგ მოაყარონ ზედ ბლომა მარილი რომ კარგა დაჰფაროს; -მას შემდეგ კიდევ ბატები ან იხვები მოაწყონ მერე მარილი მოაყარონ და სხვ. დასამარილებლად ყოველთვის ბოჩკასა ან ქაშანაურის ქილას ხმარობენ. მაგრამ ამ რიგ დამარილებას ნაკლულევანება აქვს: ჩვეულებისა მებრ მარილი იხსნება ჭურჭელში და ხორციდამ სისხლსა და წყალს იწოვს და ერევა იმათში. ეს წყალი და უმეტესად პირველსა, და მეორეს დღეს რომელსაც მარილი გამოიწოვს, ადვილად ფუჭდება მომეტებული სისხლის არევისაგან; ამის გამო ამისთანა მარილი წყალში დიდხანს დებისაგან ვერ დამარილდება ბატისა და იხვის ხორცი. ამისთვის მეორე დღეს იხვები და ბატები უნდა ამოიღონ მარილწყლიდგან და დიდ ჭურჭელში ჩააწყონ, ან სუფთა სტოლზედ გაფინონ; ამასთან უნდა იცოდნენ, რომ, ხელმეორედ ჭურჭელში ამ გვარი რიგით უნდა ჩააწყონ: რომელი რიგიც ზევით წყობილა, ის უნდა ქვევით მოაქციონ და რომელიც ქვეით-ის კი ზევით. დიდხანს არის საჭირო ბატების მარილში ყოფნა, თუ ცოტახანს ეს ადგილზედ, დროზედ და სითბოზედ ჰკიდია. თუ მოყრილი მარილი შეიწოვა ხორცმა; სჩანს რომ დამარილებულია. მერე ბატისა და იხვისაგან ალებულ ქონს ადნობენ. ამის შემდეგ ყველა ბატი თუ იხვი ოთხად უნდა გასჭრან; მერე ქვაბში აადუღონ და ხორცი გააცალონ ძვლებს. ქონი დიდხანს უნდა ადუღონ ნელ ცეცხლზედ, რომ რაც წყალი აქვს, სულ გაეცალოს; ამისთვის ერთ საათამდის საჭიროა დუღილი. ხორცს რომ ხარშავდნენ, არც ძალიან უნდა გადახარშონ და არც ხარშვა უნდა დააკლონ, თორემ ძალიან მოხარშული გემოსა ჰკარგავს და მოუხარშავი კი ობდება. ახლა უნდა აიღონ ქაშანაურის ქილები, (ქილებს არაფერი სუნი არ უნდა აჰდიოდეს, გარეცხილი და გამშრალი კარგა უნდა იყოს) და შიგ უნდა წყობით ჩააწყონ ჯერ თეძოები და ფრთები; ამასთან ერთმანეთზედ კარგა მჭიდროდ უნდა ეწყოს, რომ შიგ ქილაში ცარიელი ალაგი ცოტა დარჩეს. (ეს კია რომ ძალიან გაჭედა და გატენა არ არის კარგი). როდესაც ქილებს აავსებენ ხორცით მაშინ ზედ გამდნარი საცერში გაწურული ქონი უნდა დაასხან ცოტა. თუ ქონი არ დაიშრო (არ წავიდა ძირს) და ხორცის პირ პირ დადგა, მაშინ ქილას ცივ ალაგას ჰდგამენ, რომ ქონი გავიდეს ხორცში; მერე კიდევ უნდა დაასხან ქონი მანამ ხორცს სულ არ დაჰფარავს და ქილის პირამდის არ იდგება. ხორცზე დასასხმელად ღორის ქონიც იხმარება, მაგრამ მუცლისა კი არა—ტანისა. ამისთვის ქონს წვრილად სჭრიან და ისე ადნობენ, და რამდენიც გადნება, იმდენი იღებენ კოვზით და ასხამენ ხორცით სავსე ქილას. ბატებსა და იხვებს მდუღარე ქონი არ უნდა დაასხან უნდა ცოტა გაანელონ, რომ მაშინ დასხმული უფრო მაგრა გაცივდება ქილის თავზე და შიგ ჰაერს აღარ ჩაუშვებს. ქონი რომ გაცივდება, ერთი თაბახი თეთრი ქალალდი უნდა ამოავლონ სპირტში ან ცხარე არაყში და იმითი მოჰკრან; ამის ზევით ორი თაბახი ქალალდი, ან ბუშტი უნდა მოაკრან, ზედ ფიცარი ან აგური დაადონ რომ თაგვებმა არა დაუშაონრა ხორცს და ისე დადგან ცივ ალაგას. ამ გვარად დამარილებული ბატისა და იხვის ხორცი ერთ წელიწადზე მეტ ხანს ინახება. როდესაც ქილიდგან ხორცს ამოიღებენ ქილა ახდილი არ უნდა დადგან, არამედ ჯერ ქონი უნდა დაასხან, რომ დაფაროს ხორცი და მერე ისევ ისე კარგა მოაკრან თავი. პატარა სახლობაებში დამარილავენ ხოლმე გულ ღვიძლს, ფეხებსა და კისერსაც; ამ დამათილებულ ნაჭრებს მერე წვენში გაურევენ ხოლმე და ეს ხორცსაც ცოტას ანდომებს წვენს და გემოსაც კარგს აძლევს.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11-го іюня 1868 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.